ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის წევრი

ნინო მიქიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - მ. ბ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 27.01.2017

საჩივრის რეგისტრაციის № 006/17

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - რ. რ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ რ. რ-თვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 27 იანვარს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. რ-ის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი შვილი გ. მ 2016 წლიდან დღემდე სასჯელს იხდის გლდანის მე-8 დაწესებულებაში. საჩივრის ავტორი შეხვდა ადვოკატ რ. რ-ს, რომელმაც მასთან წერილობით არ გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მოითხოვა პირველ ეტაპზე ჰონორარის სახით - სამასი ლარის გადახდა, რომელიც საჩივრის ავტორმა გადაიხადა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამის შემდგომ, ის უკავშირდებოდა ტელეფონზე ადვოკატს, თუმცა მისი პასუხები მისთვის გაურკვეველი და საეჭვო იყო საქმესთან დაკავშირებით, ხშირად სატელეფონო ზარებსაც არ პასუხობდა.

1.4 2017 წლის 10 იანვარს ადვოკატი რ. რ თავად დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და სთხოვა შეხვედრა. ადვოკატმა შეხვედრის დროს, საჩივრის ავტორს უთხრა, რომ მას სჭირდებოდა

ბანკიდან სესხის აღება, თუმცა უარი უთხრეს სესხის გაცემაზე და ითხოვა საჩივრის ავტორი გაყოლოდა ბანკის მმართველებთან, მას როგორც ბრალდებულის დედას შეიცოდებდნენ და სესხს მისცემდნენ.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 13 იანვარს გაიმართა მისი შვილის სასამართლო პროცესი, რომელზეც ადვოკატი არ გამოცხადდა. საჩივრის ავტორის თქმით, ადვოკატი რ. რ არის მატყუარა და გამომძალველი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა რ. რ-მ 2017 წლის 27 იანვარს წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის მიხედვითაც №8 პენიტენციური დაწესებულებიდან დაუკავშირდა ტელეფონის მეშვეობით ბრალდებული გ. მ და იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მოითხოვა შეხვედრა.

2.2 გ. მ ადვოკატს შეუთანხმდა, რომ მას უნდა დაეცვა მისი ინტერესები, შეთანხმდნენ ანაზღურების პირობებზეც. ადვოკატს დაუკავშირდა ბრალდებულის დედა და შეთანხმების შესაბამისად, გადაუხადა ჰონორარის სახით 300 (სამასი) ლარი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რამდენჯერმე შეხვდა პროკურორს და მისი კლიენტის სურვილის შესაბამისად აწარმოებდა მოლაპარაკებებს საპროცესო შეთანხმების გაფორმების და შეღავათიანი საპატიმრო სასჯელის დანიშვნის მიზნით. ბრალის წარდგენისას მისი დაცვის ქვეშ მყოფი, ბრალდებული გ. მ იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ.

2.4 ადვოკატის განმარტებით მან მონაწილეობა მიიღო რამდენიმე სასამართლო პროცესში, აწარმოებდა მოლაპარაკებებს დაზარალებულ მხარეებთან ზიანის ანაზღაურების თაობაზე. დაზარალებულ მხარეს საქმეში წარმოადგენდა სამი ბანკი. ადვოკატის თქმით, ბანკების მიერ წარმოდგენილი უარყოფითი პოზიციების გამო საპროცესო შეთანხმების გაფორმება ბრალდების მხარესთან ვერ ხერხდებოდა და ამ მიზეზით, რამდენჯერმე გადაიდო სასამართლო სხდომები.

2.5 2017 წლის 10 იანვარს ადვოკატი დაუკავშირდა საჩივრის ავტორს და შეხვდა მას. ადვოკატმა მ. ბ.-ს გადასცა დაზარალებულთა საკონტაქტო ინფორმაცია და შესთავაზა შეხვედროდა მათ. ადვოკატმა საჩივრის ავტორს ურჩია, როგორც დედას ეთხოვა ბანკებისთვის გამოეჩინათ თანაგრძნობა მის მიმართ და ის იტვირთებდა ანაზღაურების სახით ვალდებულების შესრულებას.

2.6 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი დაუკავშირდა მას და უთხრა, რომ დაზარალებულ მხარესთან მოლაპარაკება ვერ მოახერხა, რამდენიმე დღეში მას დაუკავშირდა ბრალდებული გ. მ და უარი განუცხადა მის საადვოკატო მომსახურებაზე. ადვოკატის განცხადებით, საჩივარში წარმოდგენილი პოზიცია სიცრუეა იმის თაობაზე, რომ საჩივრის ავტორს სთხოვა ბანკის მმართველებთან შეხვედრა სესხის აღების მიზნით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი რ. რ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ ადვოკატის ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ. ბ-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 27 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ რ. რ-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა უთხრა საჩივრის ავტორს, რომ ბანკის მმართველებთან მისულიყო, როგორც ბრალდებულის დედა და ეთხოვა სესხის გაცემა ადვოკატის სახელზე; ადვოკატი არ გამოცხადდა მისი შვილის სასამართლო პროცესზე და ის „გამომძალველი და მატყუარაა“, რომელიც არ აბრუნებს გადახდილ ჰონორარს.

5.2 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება (არ არის უფლებამოსილი პირი) ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

5.3 დებულების მე-6 მუხლი განმარტავს დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლებს და უთითებს, რომ „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს; ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“.

5.4 განსახილველ შემთხვევაში, საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზია უკავშირდება ადვოკატ რ. რ-ის მიერ საჩივრის ავტორის შვილის სისხლის სამართლის საქმეზე გაწეულ საადვოკატო მომსახურებას. ადვოკატი თავის პოზიციაში უთითებს, რომ საჩივრის ავტორის შვილი - გ. მ

დაუკავშირდა მას №8 პენიტენციური დაწესებულებიდან და თხოვა იურიდიული დახმარების გაწევა.

5.5 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ რ. რ-ის უშუალო კლიენტს წარმოადგენდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი გ. მ. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორი არ წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს და ის არ არის უფლებამოსილი პირი, წარმოადგინოს საჩივარი ადვოკატ რ. რ-ის წინააღმდეგ. საპროცესო კოლეგიამ წერილობით მიმართა საჩივრის წარმოდგენაზე უფლებამოსილ პირს - გ. მ-ს წარმოედგინა თავისი პოზიცია საჩივართან დაკავშირებით, თუმცა მას ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

5.6 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ეთიკის კომისიაში საჩივრის წარმომდგენი პირი მ. ბ არის არა უფლებამოსილი პირი, რაც შეუძლებელს ხდის ასეთ ვითარებაში კანონით დადგენილი წესით სამართლებრივი შედეგის დადგომას და აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5.7 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ: საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად“ და მე-6 მუხლით, რომლის მიხედვით, „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა; ბ) ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე; დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის; აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე“. შესაბამისად, საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას საჩივრის განხილვაზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე-33-ე მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, მე-19, მე-20, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე № 006/17 ადვოკატ რ. რ-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნინო მიქიაშვილი/